№ 114

ოთხშაბათი 2 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 114

ოთხშაბათი 2 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია" პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

რადგანაც 29 მაისს დანიშნული

**საზოგადო კრება**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ. განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. რონინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(5—უ.—1)

გამგეობა გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის

**„შუამავლისა"**

ამით აცხადებს, რომ ექვს ივნისს, კვირას, სამს საათზედ ქ. ოზურგეთში ამხანაგობის სამმართველოში დანიშნულია წარმომადგენელთა წლიური კრება, 25 მაისს წევრების დაუსწრებლობისა გამო არ შემდგარ კრების ნაცვლად. კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება. კრებამ უნდა განიხილოს ისევ ის საგნები, რაც პირველ კრებისთვის იყო დანიშნული.

(3—5.—3) ს. ქეიშვილი

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ც. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პრონტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შჩაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** 6½—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

1 ივნისი

**ქუთაისი.** გუშინ, 31 მაისს, ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა საზოგადო კრების თავმჯდომარედ კენჭი იყარეს გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავ. ს. წერეთელმა და ქალაქის მოურავმა ლ. ლოლუამ. ამორჩეულ იქმნა თავ. ს. წერეთელი, რომელსაც ამოუვიდა 113 თეთრი და 86 შავი კენჭი, ხოლო ლ. ლოლუას ყუთში აღმოჩნდა 100 თეთრი და 97 შავი. თავ. ს. წერეთელი მომხრეა ოპოზიციისა, ხოლო ბ-ნი ლ. ლოლუა აწინდელის გამგეობისა.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 1 ივნისს, დამთავრდა ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა საზოგადო კრება. ამორჩეულ იქმნენ ისევ ისინივე, ვისაც ვადა გასდიოდა სამსახურისა, სახელდობრ: დირექტორებად უგანათ. თავ. მ. ა. გრუზინსკი (101 თ.—7 შ.) და ქ. ი. მამაცაშვილი (97 თ.—11 შ.), ამათ კანდიდატებად თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი და თავ. ა. რ. ვახვახიშვილი, დამფასებლებად ხუთმა კაცმა იყარა კენჭი: თავ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილმა (97 თ.—11 შ.) და თ. ნ. ა. თუმანიშვილმა (64 თ.—44 შ.), თავ. ი. გ. ჯორჯაძემ (57 თ.—51 შ.), ბ. ი. რატიშვილმა (40 თ.—68 შ.) და ი. ქ. კანჩელმა (30 თ.—78 შ.) ამ გვარად ამორჩეულ იქმნენ დამფასებლად თავ. ლ. ჩერქეზიშვილი და თავ. ნ. თუმანიშვილი, ხოლო ამათ კანდიდატებად თავ. ი. გ. ჯორჯაძე და გ. ი. რატიშვილი (56 თ.—52 შ.).

*** განზრახვა აქვთ, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდგან ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მერვე კლასი დააარსონ.

*** ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტში წელს სწავლა დაამთავრა 33 ქალმა, რომელთა შორის ცხრა ქართველია, სახელდობრ: თამარ თ. ბაგრატიონ-მუხრანბატონის ასული, ელენა ბუქიაშვილის ასული, თამარ ჯაფარიძის ასული, მარიამ მუსხელიშვილის ასული, ანნა ნაცვლიშვილის ასული (მიიღო ოქროს მედალი), ვერა თ. თარხან-მოურავის ასული, ნატალია ტატიშვილის ასული და თამარ ელიოსიძის ასული.

*** „კავკ."-ს აუწყებენ, რომ გასულ მაისის 14 ს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო თავ. ჭავჭავაძეს და გზათა უწყების ინჟინერს სიმბერგს გამოიკვლიონ ერთი წლის განმავლობაში კახეთის რკინის გზის მიმართულება ავჭალის სადგურიდგან ტფილისისა, თიონეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებზედ და ქ. თელავსა და სიღნაღამდე. ამის გამო გზათა სამინისტრომ სთხოვა კავკასიის უმაღლესს მთავრობას მიეცით მათ მიერ რწმუნებულთ კაცთ კახეთის რკინის გზის გამოკვლევის ნებაო.

*** გუშინ, 1 ივნისს, დაბოლოვდა კურს-დასამთავრებელი ეგზამენები ტფილისის კადეტთა კორპუსში. სწავლა დაამთავრა 41 ყმაწვილმა მოსწავლემ. მათ შორის 8 ქართველია. ესენი არიან: თავ. ალექსანდრე ამილახვარი, ევგენი თარხნიშვილი, პავლე იმნაძე, მიხეილ გაბაშვილი, ალექსანდრე გედევანიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, სიმონ მაჩაბელი და გიორგი მაჭავარიანი.

## ფელეტონი

**„უნდა მოვახსენოთ რამე"...**

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

III

დაღამდა. მთვარე კეკლუცად ამოცურდა კავკასიონის მთებიდგან და თავისის მკრთალის, ვერცხლის ფერის სხივებით გააკაშკაშა, გაანათა სამგლე გორის მიდამო. რა მშვენიერს სანახაობას, სურათს წარმოადგენს ამ მოწმენდილს მთვარიანს ღამეში ალაზნის დაცემული, ტრიალი მინდორი, ველი, კავკასიონის მთაგრეხილის თოვლით დაფარული მწვერვალნი და თვით ცივ-გომბორის მთის ნაწყვეტებზე შეფენილი, მიყურყურებული სოფლები. ამ თვალ-გულის წარმტაცს, საამურ არე-მარეს უფლის თვალი დაჰხარის, დასტრიალებს და მთვარეც თავის მხრივ ხარბად, გამგელებით ეწაფება სავსებით დასტკბეს აქაურობის ჭვრეტით, გული იჯეროს, მოიოხოს. ამიტომ არის, რომ მას თვისი სხივები ხალისიანად დაუბლერტია საყვარლის გულ-მკერდზედ და ტრფობა-კავშირით გაჟღენთილი მძაფრად ჩაჰკონ-დაჰფეთებია. მთვარის შუქზედ მოსჩანს, რომ სამგლე გორთან რაღაც უჩვეულო მოძრაობაა, მდაბალი ჩურჩული და ყაყანი მოისმის.

— გაბრო, ერთი კიდევ გაიქე თედოსთან. რაღას იგვიანებს, როდემდის უნდა გვალოდინოს, დაიწყო ისაკომ. თუ მაგაშიაც მოვტყუვდით და მხარი არ მოგვცა, მაშინ ის-და დაგვრჩომია, ამორჩევის დაწყებამდის ყველანი წავდგეთ წინ და მოვახსენოთ: ან ტატო მოგვაშოროს, ან ჩვენ გადაგვასახლოს აქედგან. გვეყო, კაცებო, ამდენი მოთმენა, ხმის ამოუღებლობა. ენა მუცელში ხომ არ ჩაგვვარდნია. ყმათ ხომ არ მიუციათ ჩვენი თავი მაგისათვის, ხომ ასე სამარცხვინოდ ვემორჩილებოდეთ, ქედს ვიხრიდეთ მის ყოველ ყვლეფა-გაცქვლებაზე და ჩვენვე გვეშინოდეს ჩვენის პირის დამთქნარებისა. იქნებ მაშინ მაინც ხალხმა გაბედოს, ხმა აიმაღლოს და გამწარებული გულის ნაღველი, ბოლოს გადაუშალოს იმას, ვის ხელთაც არის ჩვენის თავიდგან ჭირის აცილება.

— ახ, ნეტავი არ იქნება, შენის ცოლ-შვილის დღეგრძელობით, მაგ გენიას თავიდგან მოგვაშორებდნენ და თუნდ ჩვენი დღენი შუაზე გაყოფილიყო. კაცებს არა გვაქვს მაგისაგან მოსვენება და მანდილოსნებს. „ნოდარ, ამ კვირია ვენახში უნდა მიშველო"-ო, „ნოდარ, ორი დღე თამბაქოს დაწყობაში მიშველე"-ო, „ნოდარ, იქით გაიქე, აქათ გამოიქეცი"-ო, ასე გონია, იმის ცოლის მზითევში ყმად მივყოლიყო—„თუ დაგჭირდები, მეც გამოგადგებიო", მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რომ იმან სიკეთის დანახვა არ იცოდეს. ერთხელ მივმართე, „ჩვენებიანთ ოლოპოჭეს ჩემს მამულში ჩაუვლია ღობე, მიშველე რამე, უბრძანე აჰქციოს და თავის მამულში ჩაავლოს ღობე, წინანდელ ნაღობარზე", მაგრამ ჯვარს მაცვა, იმდენი მაწვალა, მათრია, სანამ ფული არ დაინახა, ფეხი არ მოიცვალა ადგილიდგან. როცა ჩემს დარდს გაუჩავებდი, მარჯვენა ხელის გულს აიქავებდა, დღეს ფულს ვიშოვნიო, ვითომც გესმოდეს კარო, კედელოო..

თვითოეულს აქ მყოფთაგანს სათქმელი, ჯავრი ჰქონდა ამოსაღები, ბევრი ამისთანა და უარესი მაგალითები იცოდნენ თავიანთის საკუთარის და თანამოძმე, მეზობელთა ცხოვრებიდგან, მაგრამ თედოსა და გაბროს თვალი მოჰკრეს, რომ აღმართს შემოუხვიეს...

— ყველანი ერთბაშად ნუ აჰყაყანდებით, ყური დაუგდეთ, ვნახოთ რას იტყვის ის კაცი, სთქვა ცალქალამაანთ გეგენამ.

— ტურებივით-კი ნუ აჰყვებით ხოლმე ერთმანეთს, თედოს დააცადეთ და მერე შეგიძლიანთ თქვენც თქვენი აზრი სთქვათ, დაუმატა ტიტიკომ.

— ხალხს გაუმარჯოს,—მოსვლის უმალვე მიესალმა აქ შეკრებილთ თედო და იქვე გატინებულ გოხზე ჩამოჯდა ქარის ამოსაღებად. აქ მყოფნი კი სულ განაბული შესცქეროდნენ, აცა რას გვეტყვის, რას ჩაგვაგონებს, რა გზაზედ დაგვაყენებს, რა მალამოს დაგვადებსო.

თედო ლაპარაკის დაწყებას არ ეჩქარებოდა. თავიდგან მოიხადა კრავის, შავი გარიბანდული ქუდი, შუბლზედ ხელი გადაისვა და მთვარეს შეჰხედა. მთვარის შუქმა გაანათა იმისი ცოტად ქაღარა შერთული თმაწვერი, მისი გრძელი კოხტად დაგრეხილი ულვაშები, განიერი, მაღალი შუბლი და სიჭკვიანის მეტყველი, ეშხიანი, დამცინავი თვალები, რომლებიც მთვარის სინათლეზედ ელვასავით ჰბრწყინავდა, ნაპერწკლებს ისროდა. თვალების ზიმზიმსა და გულის აჩქარებულ ბაგი-ბუგზედ ეტყობოდა თედოს, რომ ამისი არსება მწარედ ჰგოდებდა, თითქოს აქ მოწოდებით მას ძველი იარა განახლებოდეს, ტკივილნი აჰშლოდეს. მართლაც თედოს გულში ეხლა საკირის ცეცხლი ენთებოდა, რაკი ერთს თვალის გადავლებით შეჰხედა აქ მოგროვილთ და იგრძნო, რა მწუხარებამ მოიყვანა ისინი, რა გაჭირვებამ გააბედვინა ამ ადგილას შეკრება. დიდის ხნის მიფერფლილს ნაპერწკალს ხალხის გულშემატკივრობისას თითქოს ნიავმა დაჰბერა და აღაგზნო, ააპრიალა. მაშ თედოს გულში არ ჩამქრალა ის წრფელი განზრახვანი ბეჩავის, ყველასაგან აბუჩად აგდებულის ხალხის შველა-დახმარებისა? ამ ათი, თხუთმეტი წლის წინად თედო ხომ ხალხის ყოველს გასაჭირში პირველი წინამძღოლი, მესვეური იყო. ეს იყო მათი ქომაგი, გულ-შემატკივარი, უფლების მქონე პირებთან პასუხის მიმცემი, გამომსარჩლებელი—ეს იყო კეთილი მწყემსი, რომელსაც თვალნი არ მიერულება, რათა უღრანის ტყის მგელმან არ წარიტაცოს ცხოვარნი მისნი. მაგრამ რა დაემართა ისეთი, რომ ბოლოს და ბოლოს გული გაუტყდა, აღარ ესახვებოდა გულზედ სასოფლო საქმეები, სცდილობდა თავი შორს დაეჭირა, თავისს ვიწრო ოჯახურ ფარგალს ამოჰფარებოდა, მიკუჯულიყო, თუნდა სოფელი წყალს წაეღო. როგორც ზოგიერთნი ამბობდნენ, თითქოს შველა-დახმარების ხელიც კი გაეწვდინოს იმისთანა კაცისათვის, როგორიც ტატოა, რომლის წინააღმდეგ წინად ისე მედგრად, გამწარებით იბრძოდა, რომლის დასამარცხებლად არა ჰზოგავდა თავისს კერძო მოსვენებას, სიამოვნებასა და სახლეულთა მყუდროებას. ყველა ეს წარმოუდგა, ამისმა წარსულმა ცხოვრებამ ერთ წამს გაირბინა თედოს გონების თვალ-წინ, მაგრამ ძნელად შესაძლე-

*) იხ. „ივერია" № 113.

*** საბადლონო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს სცადოს სეტყვის წინააღმდეგ სხვა-და-სხვა საშუალებანი.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სოვეტნიკი ტიტ. სოვ. ტელლეჟენსკი გადაყვანილ იქმნა ქუთაისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

*** ამიერ კავკასიის სახაზინო პალატების პირველი კრება საერო და რაჯთა შესახებ ხარჯების გამოძებნის შესახებ ტფილისში 31 მაისს იყო.

*** ტფილისის გუბერნიაში მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდგან დაარსდება სამი ახალი სატყეო განყოფილება: ლაგოდეხისა, მცხეთისა და შულავერისა.

*** სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ გარდასწყვიტა შემოიღოს ქალაქში გასაყიდის რძისა და რძით ნაკეთებ ნაწარმოებთა გამოკვლევა.

*** ს.—პეტერბურგის საიმპერატორო სამინერალოგიო საზოგადოება ჰგზავნის კავკასიაში საზოგადოების ორს წევრს, პროფ' ორებს ვ. ლოკუჩაევს და ფ. ლევისონ-ლესინგს კავკასიის გეოლოგიურად გამოკვლევისათვის.

*** გორ ის ნაწილის უფროსი თავ. ლიონიძე დანიშნულ იქმნა კინტრიშის ნაწილის უფროსად, ხოლო გორის ნაწილის უფროსად კაპიტანი მახვილაძე.

*** სოხუმში დაიწყო შავი ზღვის პირის ტყის მოხელეთა კრება, რომელსაც საგნად აქვს სახაზინო ტყეებიდგან ბზის გაცემის საქმის განხილვა.

*** „ჩერნ. ვ.*-ის სიტყვით, მთავრობას არ შეუწყნარებია ნაფ. ვექ. აშეტისა და კენდორფის შუამდგომლობა ბაქოში ახალის გაზეთის „Прикаспійскій Край"-ს გამოცემის შესახებ.

*** „ახ. მიმ."-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ, მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი გაზაფხულის გასულს კავკასიაში ჩამოვა სამინისტროს ადგილობრივ დაწესებულებათა დასათვალიერებლად და იმ საქმეთა ადგილობრივ გასაცნობად, რომლებიც მან უნდა გადასწყვიტოს.

*** ღ. ზუგდიდი. წელს აბრეშუმის ჭიას ამინდმა შეუწყო ხელი და ამიტომ მოსავალი ზუგდიდის მაზრაში შარშანდელზედ ორი წილი მეტია. მაგრამ მეაბრეშუმეები, რომელთაც მეტად დაუჯდათ წელს ჭიის გამოკვება, დიდს შიშში არიან აბრეშუმის ფასის შესახებ. შარშან გაიყიდა აქ აბრეშუმის პარკი გირვანქა 40 კ., ესე იგი ფუთი 16 მან., წელს იძლევიან გირვანქაში 20—25 კ., ე. ი. ფუთში 8—10 მან. მაშინ როდესაც თითონ მეაბრეშუმეებს ჭიის გამოკვება ამაზედ მეტი დაუჯდათ.

*** ბორჯომიდგან იუწყებიან რომ 30 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ბორჯომის რკინის გზაზედ, 16—20 ვერსის-მანძილზედ, მოვიდა კოკის-პირული წვიმა და სეტყვა. ლიანდაგზედ აქა-იქ ზვავები ჩამოწვა. მატარებელთა მიმოსვლა შეჩერდა საღამოს 7 საათამდე.

*** ფინანსთა სამინისტრომ დაუნიშნა საბადლონო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას თითოეულ გამოფენისათვის, რომელსაც განყოფილება გამართავს წელს: თითო დიდი ვერცხლის მედალი, ოროლი პატარა ვერცხლის მედალი, სამ-სამი ბრინჯაოს მედალი და ხუთ-ხუთი ქებ'ის ფურცელი.

*** 27 და 28 მაისს ტფილისში 15 კაცი მოწამლულა ცივ-ტკბილით („მოროჟნით"), რომელიც საკაიანცის საკანდიტეროში ყოფილა ნაყიდი (სოლოლაკში). ეს მეოთხეჯერ იწამლება ამდენი ხალხი ხსენებულ საკანდიტეროსაგან მომზადებულ ცივ-ტკბილით. მოწამლულნი ორი-სამის საათის შემდეგ ცუდ გუნებაზედ დამდგარან, გული არევიათ და პირის ღება დამართნიათ, სტკენიათ თავი და მუცელი, მოსვლიათ ფაღარათი, ხოლო ზოგიერთებსკი თრთოლაც დამართნიათ, ასე რომ ზოგიერთი მოწამლულთაგანი იძულებული გამხდარა მკურნალისთვის მიემართა. მკურნალთა განკარგულებით საკანდიტეროდგან გაუგზავნიათ გამოსაკვლევად ცივ-ტკბილის ნიმუშები. ამასთან საგუბერნიო მთავრობამ აუკრძალა საკაიანცს ცივ-ტკბილის მომზადება და გაყიდვა საქმის გამორკვევამდე. საკანდიტერო და ჭურჭლები-კი მკურნალებს სუფთად უნახავთ.

*** კვირას, 30 მაისს, ნაშუაღამევის 1 ლ საათზედ, ქვეჯვაძის ქუჩაზედ, ვიღაც კონს. იაშვილსა და წყალობ მარტიევს, რომელნიც სტუმრად ყოფილიყვნენ თავიანთ ნაცნობ ქალთან, ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთს შორის ამ ქალის სიყვარულის გამო. იაშვილმა, რომელიც თავისს მოწინააღმდეგეზედ უფრო ღონიერი აღმოჩნდა, ხანჯლით ისე ღრმად დასჭრა იგი პირისახესა და ხელში, რომ იქვე წააქცია დასისხლიანებული და თითონ-კი გაიქცა. რამდენისამე ხნის შემდეგ დაჭრილთან პოლიცია მივიდა და წაიყვანა მიხეილის საავადმყოფოში. მალე შეპყრობილ იქმნა იაშვილიც, რომელსაც თავში ჭრილობა უნახეს, ხოლო მარცხენა ხელზედ ერთი თითი ხანჯლით ჰქონდა წაგდებული. იაშვილიც საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** 31 მაისს „სევერნი ნომრებში" დილის 11 საათზედ მდგმურს კნ. ახვლედიანისას ყელში გამოსავლებლად წამალი დაემზადებინა და წამლიანი ბოთლი სტოლზედ დაედგა. სასტუმროს მსახურს, რომელსაც არა სცოდნოდა, რომ ბოთლში წამალი იყო, ჩაუსხამს ეს წამალი სტაქანში და დაუდგამს სტოლზედ. კნ. ახვ—სას წყალი მოსწყურებია, სტაქანში წმინდა წყალი ჰგონებია და ერთბაშად დაულევია წამალი. წამალი საწამლავი თურმე აღმოჩენილა და ქალი მოწამლულა. დახმარების აღმოსაჩენად მოიწვიეს საბჭოს მკურნალი ბ-ნი გედალინი.

## ტფილისის სათავად აზნაურო სააღგილ მამულო ბანკის წარმომადგენელთა საზოგადო კრება.

(დასასრული *)

31 მაისს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ კრებამ მოისმინა ბანკის გამგეობის მოხსენება საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ ფულის განაწილებისა და ზედამხედველ კომიტეტის აზრი ამავე საგნის შესახებ. ეს ფული სულ 86,410 მანეთი და 29 კაპეიკია. აქედგან 62,682 მან. ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ (სათავად-აზნაურო სკოლისათვის) უნდა იქმნას გადადებული. დანარჩენი ფული გამგეობამ ასე გაანაწილა: 500-მანეთი რუსეთის გუბერნიების დამშეულთა სასარგებლოდ, 1000—ცხეთის ტაძარს, 500 მანეთი—პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვარ საყოფელად, ხოლო 18,728 მან. 29 კაპ. ზემოხსენებულსავე შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად. გამგეობამ შეუძლებელად სცნო შემწეობის აღმოჩენა იმ სხვა დაწესებულებათათვის, რომელთაც ამ აზრით მიჰმართეს ბანკს, როგორც, მაგალითად, დრამატიულ საზოგადოებას, ბავშთათვის სამზრუნველო საზოგადოებას, საკომერციო სასწავლებელს, თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს და სხვათა.

ზედამხედველმა კომიტეტმა ესევე ფული ასე გაანაწილა: დამშეულთა სასარგებლოდ—500 მან., დრამატიულ საზოგადოებას—1000 მან., ცხეთის ტაძარს—1000 მან., პუშკინის ასის წლის შესრულების სახსოვრად თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, გორის ქალთა პროგიმნაზიას და ცხეთის დედათა სკოლას—1000 მანეთი და იმ კომიტეტს, რომელსაც აზრადა აქვს პარიჟის გამოფენაზედ ქართული განყოფილება გამართოს—1000 მან., დანარჩენი თავად აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას.

ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ დ. ა. გურამიშვილი შეეკითხა ზედამხედველ კომიტეტს: იმ კომიტეტმა, რომელსაც აზრადა აქვს გამოფენაზედ მონაწილეობა მიიღოს, სთხოვა თუ არა ბანკს ფული, ამასთან შეატყობინა თუ არა, რა მონაწილეობა ჰსურს მიიღოს გამოფენაზედ?

წაკითხულ იქმნა ამ კომიტეტის თხოვნა, რომელზედაც 50 კაცს უწერია ხელი და პროგრამმა იმისი, რაც განუზრახავს კომიტეტს. როგორც პროგრამმიდგანა სჩანს, კომიტეტს აზრადა აქვს შეადგინოს და გამოსცეს რუსულსა და ზოგიერთს ევროპიულს ენაზედ პარიჟის მსოფლიო გამოფენისათვის თხზულებანი საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ: იმის სასულიერო და საერო ისტორიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მხატვრობისა, მეურნეობისა, მკურნალობისა და სხვათა შესახებ; შეადგინოს კატალოგები წერა-კითხვის საზოგადოებისა და საეკკლესიო მუზეის წიგნთსაცავებისა ევროპიულს ენებზედ; შეჰკრიბოს და გაჰგზავნოს სხვა-და-სხვა ნივთები და სხვა.

თავ. დ. ა. გურამიშვილი. ზედამხედველმა კომიტეტმა გადასდო ამ საქმისათვის (გამოფენისათვის) მხოლოდ 1000 მანეთი, მაგრამ ეს ფული საკმაო არ არის. საჭიროა სულ ცოტა 5000 მანეთი მაინც. დღემდის ვჩივით, რომ ჩვენ თავს არ ვიცნობთო, მაგრამ უფრო საჩივლელი და სავალალოა ის, რომ სხვები არ გვიცნობენ. ეხლა საუკეთესო შემთხვევა გვეძლევა, გავაცნოთ ჩვენი თავი განათლებულ ევროპას. ამიტომ ამ სა-

*) იხ. „ივერია" № 113.

---

ბელი ყოფილა მიმკრთალებულის, მალულის ნაპერწკლის გაღუება, სოფლიურს ორონტრიალსა და ჭირვარამში ჩაფლულის ადამიანის განახლება...

— აი, ძმებო, მოიბრუნა ხალხისაკენ პირი თედომ, მე ვიცი რათაც დამიძახეთ. თქვენი ‹თქმა› აღარ მინდა. თქვენა გსურთ დაგეხმაროთ, ჭირიღობა გაგიმთელოთ—ვიცი იტანჯებით, მაგრამ ვერ მოგიხერხებიათ ტკივილები დაიყუჩოთ, წამალი მოუძებნოთ. გინდათ შერჩმული ეკალი ჩემის ხელით გამოიღოთ, მაგრამ წინედ ნარ-ეკლის გლეჯამ ხელები დამიწყლულა, დამიჩივა. ხელების დაწყლულებას აღარ ვიჩივლებდი, თუ გულიც არ დაეკოდნა ჩემთვის ხალხის გაუტანლობას, ფლიდობას, გულ-ცივობას. არ გახსომთ, რა გამაძხნეველი მადლობა მივიღე იმის საბადლოდ, რომ მე ხალხის გულისათვის მოხელეებს კრიჭაში, კვალში ჩავუდექ და მინდოდა შეჭმული სასოფლო ფული მეზღვევინებინა იმათთვის. ხალხი რომ თვალ-სახინოდ დარწმუნებულიყო ჩემს სიმართლეს, საჯაროდ დავანიშვნინე ანგარიში. ჯერ ანგარიში არ იყო გათავებული, მაგრამ ხალხი ნათლად ჰხედავდა, რომ დიდძალი ფული ჰქონდათ მოხელეებს შეჭმული. მეც გამიტაცა ანგარიშმა, სულ ჩეტ კაპეიკობით ვეანგარიშობდი, მაგრამ აქეთ იქიდგან ხალხში ჩოჩქოლი, საყვ დურის ხმა გაისმა; მერე, არ გახსომთ, ზოგიერთებმა ხმა-მაღლა დაიწყეს: „კაცო, ეგ მ—ლი რა ძეძვის ეკალივით გამოედვა მაგ კაცებსაო". ერთმა მოხელეთაგანმა მუჯლუგუნი წამკრა: „რატო არ დაგვეხსნები, ვერა ხედავ ყურითაც კი გაგონებენ ლანძღვას. ჩვენ რაღათ გვიმდურეფო". ამემღვრია. ამიშვოთდა გული. ჯავრისაგან აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა, ავდექ და მეც თავი დავანებე—მერე ხო დაინახეთ, როგორ წძინდათ გამოვიდნენ ანგარიშიდგან. რა ეს გინდათ, ათასი სხვა მაგალითი მახსოვს ხალხის უმადურობისა. მოიგნეთ, რომ ჩემი ცემა განეძრახათ სწორეთ იმ მეკომუროთ, რომელთა ფოსტის ფულის შემცირებისათვის იმდენი სისხლი ავიძღვრიე, ჯვარს ვეცვი, სანამ საქვეყნოდ არ დავარცხვინე, ხომ იცით, ისინი მე მტრად მიყურებდნენ დუშმანი ვეგონე...

— მართალია, რასაც შენ ამბობ, თედო, ჩაერია ისაკო, სოფელი ორპირია. მტერს მოყვარისაგან ვერ არჩევს, კარგსაცა და ავსაც უნდო თვალით უცქერის ერთგვარად. მათგან გული დათუთქული, დიდაღული, გაქვს, მაგრამ, ხო ხედავ, კაცო, ტატომ დააქცივა მთელი სოფელი, აამტუტავა. ნუ თუ არ დაგვეხმარები, რომ სოფელს ჩააგონო, ეგ მგელი-კაცი თავიდგან მოვიშოროთ, თავისუფლად ამოვისუნთქოთ, გული ბუდეს დავიდვათ, გვიშუამდგომლე, კაცო, საცა უნდა, გვიშველე რამე, თორემ, მე ვიცი, ტატო არაფერს დაგვზოგავს, ოღონდ იმასვე ჩაუვარდეს მოხელეობა.

— რა ვქნა, ისაკო, მე მაგ საქმეში ველარ გავერევი. ხომ ჰხედავთ, კაცო, ჩემის სახლის გარემოებას. ქალის გათხოვებას, სამის წლის ზედი-ზედ სულადის მოუსავლობას, ღვინოების გასასყიდად დაბანდებას, ათას-გვარი ჭირ-ვარამი ზედ დაერთო ჩემს ოჯახს, თავყირაზე ვტრიალებ, მაგრამ ჩემი უკან დაბრუნებული კოხ-მახი ველარ მომითავსნიერებია. ჯავრი ჯანღივით გადაეკვრება ხოლმე ჩემს გონებას, მოსაზრებას მიკარგავს, თუ ერთი დიდი მეცადინეობა არ ვიხმარე ხოლმე, რომ ეს ბოლმა ბადიმივით ავიხადო, ლომ'ასავით ავძრო. ამას გარდა, აბა ვის იმოირჩევთ ისეთს მამასახლისს, რომელმაც არ გაგვცქვლიფოს, ღვთისნიერად, მამაშვილურად მოგვექცეს...,

— რატო, კაცო, სოფელი ისე როგორ გაუკაცურდა, რომ ერთი პატიოსანი კაცი ვერ ვიშოვნოთ. არა და, ისევ ჯამაგირი მივცეთ და კარგი, რიგიანი, ნასწავლი მამასახლისი დავიყენოთ, ჯამაგირის მიცემა არ გვირჩევნია, ქრთამების ძლევას, სასოფლო ფულის შეჭმას, ორნაირის სიით ფოსტის ფულის გაწერას?.-

— ეჰ, ისაკო. ასე გგონია, სოფლის ფულს მარტო ტატო სჭამს, ქრთამებს მარტო მამასახლისი იღებს. თუ არ გინახავს, გაგონილი გექნება ურჯულოანთ კეთილმოწესეს ქრთამების აღება. ქვეყანაზე გავარდა შტვირივით ის ხმა, რომ ერთის ადამიანის სახლეულობას ცხელი თურთქელი გადაასხა, დ ღუპა, ულუკმა პუროთ გაუშვა და მის ოჯახის ნანგრევებზე თავისის ნათესავის ბედნიერება, კეთილდღეობა ააგო. მერე ათი თუმანი ქრთამი გამოართვა მისგანვე ატირებულს, რქა ამოჰკრა და ბაგაზე-კი მიაგდო.

— მამ, თედო, მაგ საქმეში მხარს არ დაგვიჭერ?!... წამოიძახა მოუთმენლად ისაკომ.

— მოიცა, ისაკო! დამცინავის კილოთი დაიწყო თედომ; გული ლვინჯილასავით-კი საკიძთან ნუ გკიდია, ყელში ნუ გჩრია. ჯერ შენ ჯეილი ხარ, ძარღვებში სისხლი გიდუღს მაჭარივით, მაგრამ თუ მალე არ მოკვდი, იქნება შენც ჩემებრ გულ-გატეხილი გნახო...

— ან ეგ უნდა იყოს, ან ჩვენ! ეხლა ის-ღა დაგვრჩომია, საქვეყნოთ დავიძახოთ ეგ რა შველიც ბოძანდება, როგორ გაათხრა, მოინარიკლა სოფელი.

— განა თითონ-კი არ იციან, რა მალაყზე გადატარებაც უნდა მაგას, მაგრამ აბა ერთმა გაბედოს და პირში სიტყვა შეუბრუნოს, შენ ესეთი, მენ ისეთი კაცი ხარ, თვალს ზევით წარბი შავი გაქვსო. გარდა ამისა, ერთს მაგალითს გეტყვით და თქვენც გადასწყვიტეთ, სამჯობინარი საქმეა ეს თუ არა. გასუქებული, ნაპატივარი ძოხმენი უფრო ბევრს საზრდოს ითხოვს, თუ გამხდარი, მჭლე, რომელსაც შიმშილისაგან ფერდი ფერდს მიჰკვრია, უჭმელობით თვალი უბნელდება, ლას-ლასებს, მუხლები ეკეცება... აბა მითხარით‧

— საზრდოს შეანსვლაში, რასაკვირველია, მაძღარი მშიერთან ბრალია, წამოიძახა ისევ ისაკომ.

— ჰო-და, ტატოც ეგეთი გამტყვრალი ძოხმენია—აქამდის თუ ეგ ყველას გვაწუხებდა, გვთხოვდა და კარსა და ბანს აღარ გვიგდებდა, ეხლა ეს ფიტ მოკრულია, ამას-იქით ცოტას დასჯერდება· სხვა ვინმე ახალი რომ დავაყენოთ, ახლა იმის დოხეზე დაყენება მოგვიხდება, ახლა იმისაგან ტყავის ძრობა უნდა ვიტიროთ. აი ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა და ახლა თქვენ იცით, ღამე მშვიდობისათ...

თედო წავიდა, მაგრამ ისაკო თავისს ძმობრებით კიდევ კარგა ხანს თათბირობდნენ.

— ის-ღა დაგვრჩომია, უფროსს ამორჩევის დროს პირდაპირ მოვახსენოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა. ყველაფერი დაწვრილებით აუხსნათ.

ე—ლი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმისათვის ფული არ უნდა დავზოგოთ. რამდენმამე კაცმა იკისრა საქმის გაძღოლა და ჩვენც უნდა ხელი შევუწყოთ.

ესევე აზრი წარმოსთქვა ზუგიერთმა სხვამაც.

ან. ნატროშვილი.. ჩემის აზრით ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება ცხეთის ტაძარს უნდა მივაქციოთ. ეს დიდება და სახელი საქართველოსი ინგრევა, ჩვენ კი იმდენი არ შეგვიძლიან, რომ შევაკეთოდ დ განვაახლოთ. ტაძრის განსაახლებლად შემდგარმა კომიტეტმა ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ 35 ათასი მანეთის მეტი ვერ შეჰკრიბა. ეს ფულიკი იმდენად მცირეა, რომ სახურავის განახლებასაც არ ეყოფა. ჩემის აზრით ბანკმა 5000 მანეთი მაინც უნდა გადასდოს.

გ. დ. ქურული. ბანკსა აქვს ერთგვარი თანხა, სახელდობრ ექსტრაორდინარი, რომელიც, წესდების წყალობით, ისე ვერ მოუხმარებია, როგორც სასურველია. ამიტომ საჭიროა წესდება იმ რიგად შეიცვალოს, რომ ამ თანხის მოხმარება შევვეძლოს. ჩემის აზრით, კარგი იქმნება ეხლავე ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობას მივანდოთ შეადგინოს პროექტი წესდების შეცვლისა.

ნ. ზ. ცხვედაძე. ჩვენი უმთავრესი საზრუნავი დღეს სათავად-აზნაურო სკოლაა. სკოლის პატრონი ბანკია; სხვა დაწესებულებასაც თავისი პატრონი ჰყავს. სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, რის გამო იგი დიდს გაჭირვებაშია. რასაკვირველია, ძალიან კარგი იქმნება სხვა დაწესებულებათაც შემწეობა აღმოუჩინოთ, მაგრამ როდესაც სკოლა საჭიროებს, მაშინ სხვებზედ არ უნდა ვიფიქროთ. ჩემის აზრით ცხეთის ტაძრის განსაახლებლად უნდა გადავდოთ რაოდენიმე ფული, დანარჩენი-კი უეჭველად სკოლის შენობის აგებას მოვახდომოთ.

თავ. ი. გ. ამილახვარი. ცხეთის ტაძრისათვის სულ ცოტა 10,000 მანეთი მაინც უნდა გადავდოთ. ცხეთის ტაძარი ჩვენთვის ძვირფასი რამ არის. დღემდის ჩვენი ხალხი და ქვეყანა სარწმუნოებამ შეგვინახა, იმან დაგვიცვა და დაგვიფარა განადგურებისაგან. აუარებელ ბრძოლისა და საზოგადოდ ყოველ გვარ გაჭირვების დროს სარწმუნოება ამხნევებდა და აცხოველებდა ჩვენს წინაპართ. ცხეთის ტაძარი-კი უპირველესი ემბაზია საქართველოში სარწმუნოებისა, უტყუარი მოწმე განვლილ ჭირ ვარამისა. ამიტომ მეტი უნდა ვიზრუნოთ ამ ტაძრისათვის. ფული არ უნდა დავზოგოთ და უეჭველად 10,000 მანეთი უნდა გადავდოთ.

გ. რ. ყიფიანი. უპირველეს ყოვლისა ფული ჩვენსავე საკუთარ დაწესებულებას უნდა მოვახმაროთ. სრული ჭეშმარიტება ბრძანა ბ-ნმა ცხვედაძემ, რომ ყველა სხვა დაწესებულებას თავისი პატრონი ჰყავს, სათავად აზნაურო სკოლის პატრონი-კი მხოლოდ ბანკია. ამ მხრივ ცხეთის ტაძარსაც-კი ჰყავს პატრონი. ამიტომ ბანკს რაც მეტი ფული აქვს სკოლისათვის უნდა გადასდოს.

ბოლოს, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კრებამ ხმის უმეტესობით ასე გაანაწილა საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული ფული: 1, თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად აზნაურო სკოლისათვის—62,682 მან., 2, ცხეთის ტაძარს—5000 მანეთი, 3, იმ კომიტეტს, რომელმაც მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს—3000 მან., 4, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას—1000 მანეთი, 5, რუსეთის გუბერნიების დამშეულთა—500 მან., 6, პოეტის პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, გორისა და ცხეთის სასწავლებლებს—1000 მანეთი. დანარჩენი 10,228 მანეთი 29 კაპ. სესხად მიეცეს თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებად.

ამის შემდეგ კრება საღამოსათვის გადაიდო.

საღამოს 9 საათზედ, კრების განახლებისას, ლაპარაკი გამოიწვია გ. დ. ქურულის მიერ დილის კრებაზედ აღძრულმა საგანმა ექსტრა ორდინარის ფულის სხვა რიგად მოხმარებისა და ამ აზრით წესდების შეცვლის შესახებ. მაგრამ, რადგანაც ეს საგანი განსახილველ საგნების სიაში არ იყო მიქცეული, თავმჯდომარემ უადგილოდ სცნო იმის გარდაწყვეტა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ფულის განაწილებისა. ეს ფული სულ 23,831 მან. 51 კაპეიკია. შეერთებულ საკრებულოს ასე გაუნაწილებია: 1, წინამძღვრიანთ-კარის სკოლას—5000 მანეთი; 2, ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად—2,383 მანეთი; 3, 1000 მან.—სასტატისტიკო ბიუროს დასაარსებლად. ამ ბიუროს დანიშნულება ის იქმნება, რომ გამოიკვლიოს ტფილისის გუბერნია სასოფლო-მეურნეობის მხრივ; და 4, 15,448 მანეთი 51 კაპ. თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სესხად სკოლის შენობის ასაგებად. ამას გარდა ბანკს გორის მემამულეთა ამხანაგობამაც სთხოვა სესხად 8000 მანეთი, მაგრამ გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა არ შეიწყნარა.

საგანი ბიუროს დაარსებისა აღუძრავს უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკის. წესდებით სასოფლო-სამეურნეო თანხის დანიშნულება,—ნათქვამია თავ. პ. ა. გრუზინსკის განცხადებაში,—ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის განკარგება, მაგრამ რადგანაც საკმაო ცნობები არ არის შეკრებილი ამ მდგომარეობისა, არ ვიცით რა მხრივ და როგორ დავეხმაროთ მცხოვრებთ. ამ ნაკლის შევსება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც განსაკუთრებული ბიურო იქმნება დაარსებული. ბიურომ ადგილობრივ კომიტეტების შემწეობით (ასეთი კომიტეტები უნდა შესდგეს სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენელთა და ადგილობრივ ინტელიგენციისაგან: ღვდლებისა, მასწავლებლებისა და სხვათაგან) უნდა შეჰკრიბოს ცნობები მეურნეობის, მოსავლის და სხვათა შესახებაო.

ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის მოხსენებას თან ახლავს გ. დ. ქურულის წერილი ამავე ბიუროს დაარსების შესახებ. ამ წერილში ბ-ნი ქურული ამბობს, რომ ბანკის ერთი უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ შემწეობა აღმოუჩინოს გუბერნიაში ყოველგვარ სასოფლო სამეურნეო საქმეს. ამ აზრით ბანკსა აქვს განსაკუთრებული თანხები: საზოგადო საჭიროებისათვის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრა-ორდნარული. აშ თანხებით ბანკი მრავალგვარად ემსახურება გუბერნიის მცხოვრებთ, მაგრამ, რათა ეს სამსახური თავის დანიშნულებას არ ასცდეს და უფრო ნაყოფიერი იყოს, საჭიროა დაწვრილებითი ცნობები სოფლის და მის ცხოვრების შესახებ, რომ ბანკმა იქ მიაშველოს ფული, სადაც საჭიროა. დღეს არც ერთ საქმეს არ იწყობენ მანამდე, ვიდრე დაწვრილებით ცნობებს არ შეჰკრებამენ. თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა აქვს სასტატისტიკო კომიტეტები. შიდა გუბერნიებში ასეთი კომიტეტები საერო დაწესებულებათაც შემოიღეს. გარდა ამისა სტატისტიკური ცნობები რაიმე შუამდგომლობის აღძრის დროსაც საჭიროა. ეს ბიურო დაარსებულ იქმნება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებასთანაო.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა წინამძღვრიან სკოლის მზრუნველის ილია წინამძღვარიშვილის თხოვნა სკოლის სასარგებლოდ ერთ ხანად 4000 მანეთის გადადების შესახებ. მზრუნველი სკოლისა თხოვნაში ამბობს, რომ ამას წინად სეტყვამ მეტად დიდი ზრალი მიაყენა სკოლასაო, რის გამო სკოლისათვის დაუყოვნებლივ 4000 მანეთია საჭიროო. ამ საგნის გარდაწყვეტა კრებამ ზედამხედველ კომიტეტს მიანდო, იმ პირობით-კი თუ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, ექსტრაორდინარულ თანხიდგან ფული მიეცეს სკოლას.

თავ. დ. ზ. ბარათაშვილი. ყოველ წელიწადს წინანძღვარიანთ სკოლას 5000 მანეთს ვაძლევთ და არ კი ვიცით რაზედ და როგორ იხარჯება ეს ფული. ბევრი იმასაც-კი ამბობს, რომ სკოლას მხოლოდ 1500 მანეთი უნდებაო. რამდენჯერმე მოვსთხოვეთ ანგარიში მზრუნველს, მაგრამ არც ერთხელ არ წარმოგვიდგინა. ეხლა მაინც დაუდოთ პირობა, რომ ანგარიში უეჭველად წარმოვიდგინოს.

თავმჯდომარე. თქვენს წინადადებას მხედველობაში მივიღებთ და მოვსთხოვთ მზრუნველს წარმოგვიდგინოს ანგარიში.

თავ. დ. ა. გურამიშვილი. რამდენადაც მახსოვს ბ-ნი წინამძღვარიშვილი ანგარიშებს წინად ყოველ წელიწადს ადგენდა. თუ ეხლა არ წარმოუდგენია, ამას რაიმე პატივ-სადები მიზეზი ექმნება.

ბ-ნი ამირაღოვი. სკოლა კარგად არის დაყენებული, საქმეები იქ მშვენივრად მიჰყავთ, ამიტომ 5000 მან. უეჭველად უნდა გადავდოთ, მაგრამ ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა ანგარიშიც მოვსთხოვოთ.

თ. დ. გურამიშვილი. სასოფლო-სამეურნეო ფულიდგან მცირე რამ იმ დაწესებულებათა სასარგებლოდაც უნდა გადავდოთ, რომელთაც შემწეობა გვთხოვეს, როგორც, მაგალითად, სამუსიკო და საკომერციო სასწავლებლების სასარგებლოდ.

თავადი დ. ქ. ჩოლოყაშვილი. მაგ ფულს ყველა დაწესებულებას ვერ გავუნაწილებთ და ვინც მოგვმართავს, ყველას ვერ მივსცემთ. ჩვენ თვითონ დღეს ბევრი საჭიროება გვადგია. მთელს კახეთში, მაგალითად იმ კახეთში, რომლის ღვინომაც მსოფლიო ბაზარში საპატიო ადგილი მოიპოვა, არც ერთი მეღვინეობის სკოლა არ არის. საჭიროა ამიტომ ყოველ წელიწად ამ თანხიდგან გადავდოთ ფული ასეთის სასწავლებლის დასაარსებელ ფონდის შესადგენად. ამას გარდა ქიზიყში არსებობს დეპო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის. საჭიროა ამ დეპოსაც დავეხმაროთ რითიმე.

თავმჯდომარე. ეგ საგნები ახალია, განსახილველ საგნების სიაში არ არის მოხსენებული, ამიტომ დღეს ვერ განვიხილავთ.

ბოლოს კრებამ სასოფლო-სამეურნეო თანხა ასე გაანაწილა:

1, 5000 მანეთი—წინამძღვარიანთ კარის სკოლას, 2, 2,383 მ.—პოლიტეხნიკუმს, თუ იგი ტფილისში იქმნება დაარსებული, და 3, დანარჩენი 15,448 მან. 51 კ. სესხად მიეცეს შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებად.

წაკითხულ იქმნა ბანკის დირექტორად ნამყოფის თავ. დ. ავალიშვილის ქვრივის კნ. ო. ე. ავალიშვილის თხოვნა, იმის შესახებ, რომ იმის ქალს, გიმნაზიის მოსწავლეს, სტიპენდია დაენიშნოს ბანკიდგან. კრებამ, ზედამხედველ კომიტეტის გარდაწყვეტილების თანახმად, დაადგინა, დაენიშნოს თავ. დ. ავალიშვილის ობოლს ის სტიპენდია, (350 მანეთი წელიწადში), რომელიც დიმიტრი ყიფიანის შვილის-შვილს ეძლეოდა და რომელმაც წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა უკვე დაამთავრა.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას ის გარდასახადი, რომელიც მამულების დამგირავებელთ ერთმევათ დაფასების მოსახდენ და გირავნობის ფურცლების მოსამზადებელ ხარჯის დასაფარავად. მოხსენებაში ნათქვამია: ყოველ წელიწადს ბანკის მოქმედების ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ჩვენის ბანკიდგან ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში უფრო მეტი გირაობები გარადის, ვიდრე იქიდგან ჩვენში. სხვა მიზეზთა შორის ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა ისიც არის, რომ გირაოს იმ ბანკიდგან ჩვენ ბანკში გადმოტანას დიდი ხარჯი სჭირდება, რაიცა აბრკოლებს ამ გადატანას. ჩვენი ბანკი ტფილისელ დამგირავებელთაგან იღებს 1% სესხისას იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც დაფასებასა და გირავნობის ფურცლების მომზადებას უნდება, ამასთან აქედგან $^1/_4\%$ წინდაწინვე იღებს განცხადების მეტანის დროს, ხოლო $^3/_4\%$ სესხის გატანის დროს.

გამგეობის აზრით საჭიროა ამ 1% ნაცვლად ტფილისელ დამგირავებელთ $^1/_4\%$ გამოერთვათ, ისიც სესხის გატანის დროს მხოლოდ იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც გირავნობის ფურცლების მომზადებას სჭირდება.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბევრმა აღნიშნა რა, რომ საკრედიტო საზოგადოებაში ქონების დაგირავების პირობები გაადვილებულა, რის გამო ჩვენის ბანკიდგან მრავალი მამული გადადის იქ, განაცხადა, საჭიროა, რომ ამ მხრივ ჩვენი ბანკი გათანასწორებულ იქმნას საკრედიტო საზოგადოებასთან, ე. ი. ისეთი ცვლილებანი იქმნას შემოღებული, რომ აქაც ისევე ადვილად შეიძლებოდეს მამულების დაგირავება და გადმოგირავება, როგორც იქ. სხვათა შორის თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განმარტა ის მიზეზნი, რომელთა წყალობითაც საკრედიტო საზოგადოებაში უფრო მეტი მამული შედის გირაოდ და უფრო მეტი მამული გადადის სათავად-აზნაურო ბანკიდგან, ვიდრე იქიდგან გადმოდის და აღნიშნა ის უპირატესობანი, რომელნიც კანონმა მიანიჭა ერთობ ქალაქების საკრედიტო საზოგადოებათა მთელს რუსეთში.

პ. რ. ყიფიანმა სთქვა: როგორც ჩვენი ბანკი, ისეც საკრედიტო საზოგადოება, ყოველ ნახევარ წლის გადასახადს ახდევინებს მსესხებელს ბანკის ხარჯისათვის, სათადარიგო და ძირის ფულის და სხვა თანხების სამატად. ეს ნაწილი ნახევარის წლის გარდასახადისა ჩვენს ბანკში დაარსებულია $^3/_8\%$. საკრედიტო საზოგადოებიდგან რომ გადმოდიან ჩვენს ბანკში, ამ ნაწილს გარდასახადისას იქაც იხდიან და ჩვენს ბანკშიაც, ასე რომ დამგირავებელი ერთს გარდასახადს ორ-კეცად იხდის. ჩემის ფიქრით, შესაძლოა ის შეღავათიც მივცეთ იმ მსესხებელთ, რომელნიც საკრედიტო საზოგადოებიდგან გადმოდიან, რომ წლის პირველ ნახევრის ეს ნაწილი გარდასახადისა სულაც არ გამოერთოთ.

ბოლოს, დიდის კამათის შემდეგ, კრებამ გარდასწყვიტა: 1, ტფილისელ სესხის მთხოვნელთ წინადვე არ გამოერთვათ-რა, ხოლო როცა სესხს მიიღებენ $^1/_4\%$ გამოერთვათ დაფასების და გირავნობის ფურცლების ხარჯის დასაფარავად; 2, ის ნაწილი გარდასახადისა, რომელიც ეხლა ერთმევათ ბანკის ხარჯის გასაძღოლად და სხვა-და სხვა თანხების სამატად, წლის პირველ ნახევარს აღარ გამოერთვათ იმათ, ვისაც სხვა საკრედიტო დაწესებულებიდგან გადმოაქვთ ჩვენს ბანკში დასაგირავებლად მამულები.

დასასრულ კრებამ მოისმინა და შეიწყნარა კიდეც გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსა იქმნას დაარსებული. ბანკმა ამ კასსისათვის 50,000 მანეთი უნდა გადასდოს—ყოველ წელიწადს 5,000 მანეთი. ამას გარდა კასსის თანხის შესადგენად მონაწილეთ 6% ჯამაგირისა გამოერთმევათ. კრებამ დაავალა გამგეობას, წარუდგინოს უკვე შემუშავებული წესდება მთავრობას დასამტკიცებლად და დამტკიცების შემდეგ გადასდოს 50,000 მან. (წელიწადში ხუთას-ხუთასი თუმანი, ვიდრე 50,000 მანეთი შესრულდეს) და გამოუკლოს მოსამსახურეთ ჯამაგირიდგან 5% საპენსიო კასსის თანხის შესადგენად. საპენსიო კასსიდგან პენსიის დანიშვნა დაიწყობა ათის წლის შემდეგ დაარსებიდგან.

გუშინ 1 ივნისს ბანკის წარმომადგენელთა კრება დასრულდა. ამ დღეს კრებამ დაამტკიცა ოქმები და თანამდებობის კაცნი აარჩია.

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საჩხერე**, (შორაპნის მაზრა). 7 აპრილს შესდგა საჩხერეში მეფუტკრეთა

ამხანაგობა, რომელშიაც ჯერ ოცამდე კაცი ჩაეწერა წევრად. ამ დღეს კრებამ განიხილა წესდება ამხანაგობისა და გადასწყვიტა წლის ფულის ფასი 25 მანეთი იქმნეს, რომელიც უნდა შემოიტანონ შემდეგს ვადებში: მომავალს ივლისსა და აგვისტოში თითო თუმანი და დანარჩენი ხუთი მანეთი — სექტემბერში.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ამხანაგობაში, უნდა მიმართოს წერილით ამ ამხანაგობის მოთავეს, ყარამან ტარიელის ძეს ჩხეიძეს, საჩხერეში და მასთან უნდა წარუდგინოს წერილთან ერთად ერთი თუმანი. მოთავე წარუდგენს ამ წერილს ამხანაგობის კრებას და უკეთუ მსურველი ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა წევრად, მოთავე მაშინვე აცნობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უკანვე დაუბრუნებს თავისს წერილს და ფულს.

მეორე კრება ამხანაგობისა დანიშნულია 6 ივნისს, საღამოს ექვს საათზედ. ამ დღეს უნდა ამორჩეულ იქმნან: ორი მმართველი, ერთი კასსირი და მათი კანდიდატები, და განირჩეს რამდენიმე საგანი მეფუტკრეობის დაწყების შესახებ.

უმორჩილესად ვთხოვ ამხანაგობის წევრთ და სხვათაც, ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ამ ამხანაგობაში, მობრძანდნენ დანიშნულ დროს ჩემს სადგომზედ საჩხერის სოფლის სასწავლებელში.

მოთავე ამხანაგობისა ყ. ჩხეიძე

# რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ თანხმობა განაცხადა იმაზედ, რომ საერო განათლების სამინისტრომ წინადადება შეიტანა სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ გადაიდოს ხაზინიდგან 1900 წელს 50 ათასი მან., 1901 წ. 100,000 მან., 1902 წელს 150 ათასი მან., 1903 წელს 200 ათასი მან., ხოლო 1904 წლიდგან ყოველ წლივ 250 ათასი მან. საქალაქო სასწავლებელთა სასარგებლოდ.

— პეტერბურგის მომავალი პოლიტეხნიკუმი დიდად განსხვავდება დანარჩენ პოლიტეხნიკუმებისაგან თავისის პროგრამით. ეს პოლიტეხნიკუმი შესდგება შემდეგ განყოფილებათაგან: 1) საკომერციო განყოფილება, რომელიც მისცემს უმაღლეს საკომერციო განათლებას 2) სამეტალურგიო განყოფილება, 3) გემების აშენების განყოფილება, რომელიც მისცემს უმაღლეს სატეხნიკო განათლებას საკომერციო ფლოტის მეხანიკოსთა მოსამზადებლად, და 4) საელექტრო ტეხნიკო განყოფილებები, რომელიც მოამზადებს ინჟენერებს. გარდა ამისა, ზრადა აქვთ დააარსონ მეხუთე განყოფილებაც, რომელიც მოამზადებს პროფესორებს როგორც ამ სასწავლებლისათვის, ისე სხვა პოლიტეხნიკუმის და უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებელთათვის. პირველ ხანებში პროფესორთა და მასწავლებელთა სიმცირისა გამო პეტერბურგის პოლიტეხნიკუმისათვის მოწვეულ იქმნებიან პროფესორები საზღვარ-გარეთიდგან.

# უცხოეთი

**ესპანია.** როგორც ვიცით, ესპანიამ მიჰყიდა გერმანიას კაროლინისა, პალაუსისა და მარიანის კუნძულები. გაზეთების სიტყვით, გერმანიას მიუცია ესპანიისათვის ამ კუნძულების ფასად 25 მილიონი პეზეტი (8 მილიონ მანეთზე მეტი). ამას გარდა გერმანია შეჰპირდა ესპანიას, რომ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მეტი უფლება ექმნება ხსენებულს კუნძულებზე სავაჭრო მიცემით და სამრეწველო საქმეებში. ამასთანავე ესპანიას უფლება ეძლევა გზებები გაიყვანოს და ნახშირის საწყობი ადგილები იქონიოს იქ.

—

**კრიტი.** ამ რამდენისამე ხნის წინად ხმა გავრცელდა, რომ გიორგი ბატონიშვილის წინააღმდეგ შეთქმულობა აღმოაჩინეს კრიტის კუნძულზედ. გაზეთები დაბეჯითებით ამტკიცებენ ახლა იმ ხმების სინამდვილეს და ამბობენ, რომ შეთქმულებს აზრად ჰქონდათ მოეკლათ(!) ბატონიშვილი და მცირე აზიის ქალაქ სმირნაში წაეყვანათ ერთ-ერთ იმ გემით, რომლითაც მაჰმადიანები მიჰყავთ კრიტიდგან. ბატონიშვილის სურვილით, გამომძიება დაუნიშნავთ მხოლოდ შეთქმულობის მოთავეთა წინააღმდეგ, რომელნიც განდევნილი იქმნებიან კუნძულიდგან. როგორც აღმოჩენილა, ასეთ მოთავედ რვა მაჰმადიანი ყოფილა, რომელთაგან ოთხი კაცი განდევნეს.

—

**ამერიკა.** 22 მაისს შეერთებულ შტატებსა და ესპანიას შორის ოფიციალურად აღდგენილ იქმნა დიპლომატიური დამოკიდებულება. ესპანიის ელჩი, არკოსის ჰერცოგი, თავისის მდივნებით სადარბაზოდ იყო შტატების გარეშე საქმეთა მინისტრ ჰეისთან, და შემდეგ მასთან ერთად წავიდა თეთრს სახლში, სადაც მიღებულ იქმნა მაკ-კინლეის მიერ. ელჩმა წაიკითხა ესპანიურს ენაზედ ადრესი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ესპანიას სურს განაახლოს შეერთებულ შტატებთან ისეთი კეთილი განწყობილება, როგორიც წინაზედ ჰქონდათ. მეო, სთქვა ელჩმა, ჩემის მხრით ყოველივე ღონეს ვიხმარ ამ გვარ დამოკიდებულების აღსადგენადო. მაკ-კინლეიმ უპასუხა, რომ დიდის სიამოვნებით მივიღე თქვენი რწმუნების ქაღალდებიო. მე შემიძლიან და გარწმუნოთ, — განაგრძო პრეზიდენტმა, — რომ ჩემთან ერთად მთელს ამერიკის ერს სასიამოვნოდ აქვს ჩვენ შორის უწინდელ მეგობრულ დამოკიდებულების განახლება და მთავრობის ყველა წევრი სულითა და გულით ეცდება ესპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის კარგი განწყობილება მტკიცეს ნიადაგზე დამყარდესო. ამ სიტყვების შემდეგ მაკ-კინლეიმ ორივე ხელი ჩამოართვა ჰერცოგს და რამდენიმე წუთის განმავლობაში დაბალის ხმით ესაუბრებოდა. სხვათა შორის რეგენტ-დედოფლისა და მეფის ამბავიც გამოჰკითხა მას.

## სასამართლოს მატიანე

თანამდებობის კაცის უპატიურად მოხსენება.

31 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე სიღნაღის მცხოვრების სახურ გოძიაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თანამდებობის კაცის უპატიურად მოხსენება სამსახურის ასრულების დროს. აი, ამ საქმის გარემოება: 1897 წ. 7 მარტს, როცა სიღნაღის მცხოვრები ს. გოძიაშვილი სიღნაღის პოლიციის ბოქაულის თ. ნასიძის კანცელარიაში იმყოფებოდა, უარი გამოუცხადეს, იმ მიწერ-მოწერიდგან საბუთის ქაღალდის პირს ვერ მოგცემთ, რომელიც წარმოებაში იმყოფება ტფილისის საგუბერნიო გამგეობაშიო, მან უთხრა ბოქაულს თითის ქნევით: „მე შენ გიჩვენებ, ჰნახავო“. ეს დაამოწმა ორმა მოწმემ — თითონ ბოქაულმა ნასიძემ და მისმა თანაშემწემ. ბრალდებულმა არა სცნო თავი დამნაშავედ. ტფილისის ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულს 25 მან. ჯარიმა, ხოლო თუ ფულის გადახდას ვერ შეიძლებს, — 5 დღით პოლიციაში დატუსაღება.

სამოსამართლო პალატამ, სადაც ეს საქმე ბრალდებულის განსაჩივრებისა გამო გაირჩა, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## დამავიწყდა

ეცადე ფეხი არ დაგიცდეს ცხოვრების გზაზედ, თორემ შენს უკან მომავალი ფეხ ქვეშ გაგსრესავს.

ბ. დ—შვილი

* * *

მიგავსად ასოთა გარეგანთა ითქმიან მინაგანნაცა მალნი სულისანი.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

* * *

ნუ ფრიად ესავ, ნუცა ფრიად არ ესავ: პირველი დაგჴსნის, მეორე წარგწყმედს.

წმ. გრიგოლი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მაისი

**პარიჟი.** ელისეს სასახლიდგან მოყოლებული ლონშანამდე პრეზიდენტ ლუბეს განუწყვეტლივ სალამს აძლევდნენ მაღალ და აღტაცებულის ხმით: „გაუმარჯოს ლუბეს!“ იქა-აქ გაიგონებდით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ ხალხს იმაგრებდნენ პოლიციელები და დრაგუნები, რომელნიც შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი. წყალვარდნილთან, სადაც უფრო დიდმა ხალხმა მოიყარა თავი, ახალი აღტაცებული ავაცია გაუმართეს პრეზიდენტს. პრეზიდენტი ძოვიდა თავისს ტრიბუნასთან ისე, რომ არავითარი უსიამოვნება არ შემთხვევია. დაინახეს-რა ლუბე ტრიბუნაზედ, ასტყდა ხმაურობა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ აგრეთვე ისმოდა: „გაუმარჯოს ჯარსო!“

**პარიჟი.** როცა პრეზიდენტი გამოჩნდა ლონშანის შესასვლელთან, რამდენიმე კაცმა, რომელნიც Enceinte du pesage-ს გარეშე იდგნენ, ხმაურობა ასტეხა: „გაუმარჯოს ჯარს, არ გვინდა ჰოლაო!“ შეტაკება მოხდა. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. 4 ს. 40 წუთ. ლუბე ელისეს სასახლეში დაბრუნდა; გზაში ისევ ესალმებოდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს ლუბესაო!“ არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა.

**პარიჟი.** პარლამენტის ბევრს წევრს უხარიან, რომ მხიარულება ვერაფერმა დაარღვია; იწონებენ მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებას და აქებენ ხალხის კეთილ გონიერებას. სოციალისტების მეთაურნი, განსაკუთრებით ჟორესი, თავიანთ მეგობრებს ურჩევდნენ ზომიერებას.

ბულვარზედ დიდი მოძრაობაა. რამდენიმე კაცმა მანიფესტაცია მოახდინა „ლიბრე პაროლეს“ წინააღმდეგ. პოლიციამ წინადადება მისცა ხალხს დაშლილიყო.

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტი რომ დაბრუნდა ლონშანიდგან, ხალხი აღტაცებულის ხმით ყვიროდა. გზაში ყველგან ისმოდა: „გაუმარჯოს ლუბესო!“ აგრეთვე ისმოდა: „გაუმარჯოს ზოლას, გაუმარჯოს პიკარსო!“ როცა დელკასეს ეტლი გამოჩნდა, იმას ძლიერ დიდი ავაცია გაუმართეს. ხალხი შემოესია მინისტრის ეტლს და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს დელკასეს! მიაფურთხეთ დერულედსო!“ სხვა მინისტრებიც ავაციის საგნად გახდნენ, განსაკუთრებით კრანცი.

**პარიჟი.** აი ნამდვილი ამბავი არმენონვილის პავილიონის წინ მომხდარ უწესოების შესახებ: $5^1/_2$ ს. კაფე სავსე იყო ხალხით. ერთმა იქ მყოფმა რაღაც ურიგო სიტყვა სთქვა ლუბეს შესახებ. დანარჩენებმა, ვინ მის სასარგებლოდ დაიწყო ლაპარაკი, და ვინ მის წინააღმდეგ. სიტყვიერად შეურაცხებიდგან ჯოხებზედ გადავიდნენ, მერმე მოიშველიეს ჭიქები, გრაფინები და ბოთლები, და, ბოლოს, სტოლებსა და სკამებსაც სტაცეს ხელი. ამ დროს მანიფესტანტების გროვამ, რომელთაც წითელი ვარდები ერჭოთ ღილის თვლებში, გაიგო რა, თუ რა ხდებოდა, ყვირილი ასტეხა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას! A bos la calotte!“ პავილიონს გარს შემოერტყნენ, რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა, რომელთაც ფანჯრის ჩარჩოები ჩამოამტვრიეს, მაშინ როდესაც შიგ პავილიონში ერთმანეთთან შეტაკება არ შეწყვეტილიყო. რამდენიმე კაცი დაიჭრა. შეშინებული ხალხი კაფედგან გარბოდა. კაფე დაკეტილ იქმნა.

**პარიჟი.** საღამოს „Libre Parole“-ს წინ ბრბომ მანიფესტაცია მოახდინა. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. რამდენიმე ჩხუბი მოხდა. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

პოლიციის პრეფექტურა იუწყება, რომ მთელი დღის განმავლობაში 30 კაცი იქმნა დატუსაღებული. ათი პოლიციელი დაიჭრაო.

1 ივნისი.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდგან: პეკინში მყოფმა ინგლისის მისსიამ მოითხოვა, რომ კუეტი-მიუს გუბერნატორი თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნასო. ამ საქმეს მისსიონერის ფლემინგის მოკვლასთანა აქვს კავშირი.

**პარიჟი.** გაზეთები სიხარულს აცხადებენ იმის გამო, რომ გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა და არავითარი არეულობა არ მოხდა, არმენონვილში მომხდარ შეტაკების გარდა.

**ხრისტიანია.** ჰერცოგის აბრუცკის ექსპედიცია, რომელიც ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ აპირებს გამგზავრებას, დღეს გავიდა ზღვაში. ციხიდგან ზარბაზნები დასცალეს.

**პარიჟი.** იმ საჩივრების გამო, რომ გუშინ პოლიციის აგენტები ფუჭად იქცეოდნენო, პოლიციის უფროსმა ბრძანება გასცა სასტიკი გამოძიება მოახდინონ. დამნაშავე აგენტები დასჯილნი იქმნებიან. გუშინ შეპყრობილი ოცამდე კაცი საპყრობილეში არიან დაპატიმრებული. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა. დიდი მოძრაობაა. სოციალისტი ვალიანი შეეკითხა მთავრობას, იმ ძალმომრეობის შესახებ, რომელიც გუშინ პოლიციამ არმენონვილის ფარდულთან იხმარა. ორატორმა ჰკითხა, რა ბრძანება გაეცით პოლიციის სოციალისტების შესახებ, რომელნიც რესპუბლიკას იცავდნენო (ტაშის ცემაა მემარცხენეთა შორის). დიუპუიმ განაცხადა, რომ გუშინდელი დღე რესპუბლიკანელთა დღესასწაული იყოო. იმის მეტი არაფერი გვიბრძანებია პოლიცისთვის, რომ წესიერება დაეცვა. ჩხუბი რესტორანის მეპატრონისა და მოსამსახურეთა შორის მოხდა, ამასთან დაჭრილ იქმნა სამი აგენტი პოლიციისაო. შემდეგ დიუპუიმ სთქვა, რომ მონმარტის ქუჩაზედ აგენტებს ჰქებსა და სტამბის კლიშკებს ესროდნენო. ისეთი მთავრობა წარმოუდგენელია, რომელსაც წესიერების დაცვის ნებას არ მისცემენო (ცენტრში ტაშის ცემა გაისმა, უკიდურეს მემარცხენეთ წინააღმდეგობა განაცხადეს.).


## განცხადებანი



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—5.—13)


Дозволено цензурою, Тифлисъ 1-го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე